მდგრადი განვითარების კონცეპტუალურ - მეთოდოლოგიური საკითხები აგროტურიზმის ასპექტში

რუსუდან კვარაცხელია, პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.23

აბსტრაქტი

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, თუმცა, ამავე დროს, განცვითარების ეტაპების კვალდაკვალ, აღინიშნება არასასურველი ეფექტებიც, სხვადასხვა მიმართულებით. ტურიზმის განვითარება, მხოლოდ მაღალი კომერციალიზაციის მიზნით, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის კულტურაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე, ღირებულებებზე. მასობრივი ტურიზმის ადგილებზე სერიოზული პრობლემები გაჩნდა ეკოლოგიის, კულტურისა და სოციალური განვითარების მიმართულებით. გარდა გარემოს დაზიანებისა და დაბინძურებისა, ინდუსტრიაში მოხმარებული რესურსების ფარგლებში, ასევე, საფრთხეს ქმნის ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, ბიომრავალფეროვნების დარღვევა, მიწის დეგრადაცია, საბოლოოდ კი, გლობალური დათბობის საერთო მაჩვენებელში ტურიზმის ინდუსტრიას დაახლოებით 5% უჭირავს. მსოფლიო დადგა მდგრადი ტურიზმის განვითარების აუცილებლობის წინაშე. 2011 წლის ჟენევის მოხსენება „მწვანე ეკონომიკისაკენ: მდგრადი განვითარება და სიღარიბის აღმოფხვრის გზები“ ინსპირაცია გახდა საზოგადოების შეხედულებების შესაცვლელად. შემუშავებულია უამრავი რეკომენდაცია, მდგრადი ტურიზმის მიზნების გათვალისწინებით: ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური პროცესების სწორად წარმართვა, შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება; კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნება; სამართლიანი დასაქმება, ეკონომიკური სარგებლის სამართლიანი გადანაწილება, სოციალური ღონისძიებების გზით, სიღარიბის დონის შემცირება რეგიონში და ა.შ. მნიშვნელოვანია ეკო-აგრო-ტურიზმის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, რაც მოცემულ სტატიაში არის აღწერილი, კერძოდ, დეტალურად არის განხილული მდგრადი განვითარების 17-ივე მიზნის მისაღწევაში, მდგრადი აგროტურიზმის როლი და კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა აღნულშნულ ასპექტში.

საკვანძო სიტყვები

ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, მდგრადი განვითარება, მდგრადი ტურიზმი, მდგრადი განვითარების მიზნები.

Conceptual-Methodological Issues of Sustainable Development in the Aspect of Agrotourism

Rususdan Kvaratskhelia

Abstract

The development of the tourism industry has a positive effect on the country's economy and the well-being of the population. However, at the same time, following the stages of development, undesirable effects are also observed in different directions. If the development of tourism has only high commercial purpose, it will harm the country's culture, natural resources, and values. Unfortunately, places of mass tourism face certain problems in the areas of ecology, culture, and social development. In addition to environmental damage and pollution, within the resources consumed by industry, depletion of natural resources, destruction of biodiversity, land degradation, and finally the tourism industry accounts for about 5% of total global warming. However, we have to admit that the world faces the need to develop sustainable tourism. In this case, we have to mention the 2011 Geneva report "Towards a Green Economy: Sustainable Development and the Path to Poverty Eradication", since it inspired certain changes in public opinion. Considering the goals of sustainable tourism there were developed numerous recommendations such as ensuring optimal utilization of natural resources and proper management of ecological processes. Therefore, it concerns the preservation of biodiversity, preservation of cultural heritage and traditions, fair employment sector, fair distribution of economic benefits through social measures, reduction of the poverty level in the region, etc. We have to highlight the role of eco-agro-tourism since it is a key factor in achieving the goals of sustainable development. Thus the paper deals with the issue of achieving all the 17 goals of sustainable development, the role of sustainable agro-tourism, and the conceptual-methodological approach of the mentioned aspect.

Keywords: Ecotourism, agrotourism, sustainable development, sustainable tourism, sustainable development goals.

შესავალი

აგრარული ტურიზმი (იგივე აგროტურიზმი) მსოფლიოში სწრაფად ვითარდება. თანამედროვე მსოფლიოში ტურისტების მთლიანი რაოდენობიდან 25-30% სწორედ აგროტურიზმს ირჩევს. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ტურიზმის ეს სახეობა პოპულარობით, საპლაჟო ტურიზმის შემდეგ, მეორე ადგილს იკავებს. შემოსავლების მხრივ, მთელი ტურიზმის შემოსავლების 20-30% აგროტურიზმზე მოდის.

ტურიზმის დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე აღიარებულია, თუმცა, მსოფლიო გამოცდილებამ სექტორის ნეგატიური მხარეებიც წარმოაჩინა, როგორიცაა სხვადასხვა ასპექტით ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების გავლენა, სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორზე, არასასურველი ფორმით. ტურიზმის განვითარება, მხოლოდ მაღალი კომერციალიზაციის მიზნით, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის კულტურაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე, ღირებულებებზე. მასობრივი ტურიზმის ადგილებზე სერიოზული პრობლემები გაჩნდა ეკოლოგიის, კულტურისა და სოციალური განვითარების მიმართულებით. გარდა გარემოს დაზიანებისა და დაბინძურებისა, ასევე საფრთხეს ქმნის ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, ბიომრავალფეროვნების დარღვევა, მიწის დეგრადაცია. გლობალური დათბობის საერთო მაჩვენებელში ტურიზმის ინდუსტრიას დაახლოებით 5% უჭირავს.

მდგრადი ტურიზმის განვითარების ასპექტები

2011 წლის ჟენევის მოხსენება „მწვანე ეკონომიკისაკენ: მდგრადი განვითარება და სიღარიბის აღმოფხვრის გზები“ ინსპირაცია გახდა საზოგადოების შეხედულებების შესაცვლელად. მოსახლეობა, რომელიც ტურიზმის დადებით შედეგებს საკუთარ შემოსავლებში უშუალოდ ხედავს, იაზრებს, რომ თუ ვერ შენარჩუნდა ის ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ფასეულობები, მის შემოსავლებს ეს აუცილებლად დაეტყობა. ტურისტი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მოცემული ფასეულობების გამო სტუმრობს მას. შემუშავებულია უამრავი რეკომენდაცია, მდგრადი ტურიზმის მიზნების გათვალისწინებით:

- ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური პროცესების სწორად წარმართვა, შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნება;
- სამართლიანი დასაქმება, ეკონომიკური სარგებლის სამართლიანი გადანაწილება, სოციალური ღონისძიებების გზით, სიღარიბის დონის შემცირება რეგიონში;

1985 წელს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი“, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გაფრთხილების ვალდებულებას გულისხმობს, აქტიური ჩართულობისა და ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან ერთად. ამავე დროს, ტურისტები ვალდებული არიან, პატივი სცენ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, კულტურულ მემკვიდრეობას, ბუნებრივ რესურსებს. სასურველია, ტურისტი წინასწარ ფლობდეს კონკრეტული ადგილის ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის, ასევე, ადგილობრივი ენდემური სახეობების შესახებ ინფორმაციას.

1989 წელს ტურიზმის საპარლამენტთაშორისო კონფერენციამ მიიღო ჰააგის დეკლარაცია, რომელშიც ცალსახად არის გატარებული აზრი, რომ ტურიზმის განვითარების კომპლექსური დაგეგმვა აუცილებლად „მდგრადი განვითარების“ საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რაც მხარდაჭერილია გაეროს ასამბლეის მიერ. აქვე მოცემულია, რომ ტურიზმის განვითარება მოითხოვს როგორც კერძო სექტორის, ისე სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ტურიზმის განვითარებას პერსპექტივა გრძელვადიან პერიოდში. 1992 წელს რიო-დე ჟანეიროში, გაეროს კონფერენციაზე, რომელშიც 179 ქვეყანა მონაწილეობდა და რომლის ძირითადი მიზანი გარემოს დაცვის საკითხებზე მსჯელობა იყო, განიხილეს ბიოსფეროს დაცვის პრინციპები და მიიღეს პროგრამული დოკუმენტი „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“ და გარემოს დაცვის დეკლარაცია. სწორედ ამის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრებას. მეტი ყურადღება მიექცა ტურიზმის სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, ასევე ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენას გარემოზე, ადამიანების ჯანმრთელობაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე. 1995 წელს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციამ, დედამიწის საბჭომ და მოგზაურობათა და ტურიზმის მსოფლიო საბჭომ ერთობლივად მიიღო დოკუმენტი „მოგზაურობათა და ტურიზმის დარგის დღის წესრიგი 21-ე საუკუნეში“, რომელშიც განხილულია სწორედ ზემოთ ნახსენები პრობლემები, რაც ტურისტების მხრიდან გამოწვეულ სხვადასხვა სახის ზიანსა და საფრთხეებს მოიცავს. აღნიშნულ დოკუმენტში, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებთან ერთად, გამოყოფილია პრიორიტეტული სფეროები, კერძოდ:

- საზოგადოების ინფორმირებულობისა და განათლების დონის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ნორმატიული, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის შეფასება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების მხარდაჭერა ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად;
- ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა მდგრადი ტურიზმის პრინციპების გათვალისწინებით;
- ინტეგრირებული დარგებისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით.

ბოლო წლებში სულ უფრო აქტუალური ხდება გარემოს დაცვაზე ზრუნვა, სერტიფიცირებისა და მარკირების საკითხები. 2000 წელს მსოფლიოს ცნობილი ტუროპერატორები გაერთიანდნენ და გარემოს დაცვის გაეროს პროგრამების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიის, ასევე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაწილეობით, საფუძველი ჩაუყარეს ნებაყოფლობით არაკომერციულ პარტნიორობას, რომელსაც ეწოდა „ტუროპერატორების ინიციატივა – მდგრადი ტურიზმის პრინციპები“. იგი ეყრდნობა უწყვეტ პროცესებს, გარემოზე მუდმივ მონიტორინგს, სხვადასხვა ბუნებრივი რესურსის გონივრული გამოყენების დაგეგმვას, მათ დაცვასა და ხელშეუხებლობაზე ზრუნვას, საზოგადოების ინფორმირებულობასა და შედეგზე ორიენტირებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

1996 წელს შეიქმნა ტურისტული ეკოლოგიური ქსელი ECoNETT (European Community Network for Environmental Travel and Tourism). ევროპის ბევრმა ქვეყანამ და აშშ-მ დანერგა სპეციალური პროგრამა „ზღვისპირა ზონების კომპლექსური მართვის“ მიზნით. ევროპულ პროგრამას ევროკავშირი აფინანსებს და ითვალისწინებს ევროპის ზღვისპირის სოციალური და ბუნებრივი მახასიათებლების შესწავლას, დაცვასა და ხელშეუხებლობას.

2003 წელს ავსტრალიამ ტურიზმის ხანგრძლივი განვითარების სტრატეგიის მხარდასაჭერად შეიმუშავა ე.წ. „თეთრი წიგნი“, შვედეთის მთავრობამ კი შეიმუშავა „მდგრადი ტურიზმის 10 პრინციპი“.

2002 წელს იოჰანესბურგში მდგრადი ტურიზმის საკითხების გარშემო მოეწყო მსოფლიო სამიტი, რომელზეც მიიღეს პროგრამა „მდგრადი ტურიზმი– სიღარიბის აღმოფხვრის საწინდარი“. პროგრამის მიზანია მდგრადი ტურიზმის როლის ზრდა სიღარიბის აღმოფხვრის და თითოეული ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

საუკუნეების მანძილზე ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ბუნებრივი რესურსები შექმნილია მხოლოდ კაცობრიობის საკეთილდღეოდ და მათი გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება. ასეთმა მიდგომამ საგრძნობლად დააზარალა გარემო, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მე-19 საუკუნიდან – ინდუსტრიალიზაციის ეპოქის შემდგომ პერიოდში. გლობალური დათბობის პროცესი, კლიმატის ცვლილება, ჰაერის დაბინძურების საგანგაშო დონე, რესურსების ამოწურვის საფრთხე, ტექნოგენური კატასტროფების მატება, ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება – ეს ის პრობლემებია, რაც მსოფლიოში ტურისტული პოტენციალის შენარჩუნების საკითხს, ანუ ტურიზმის ხანგრძლივი და მდგრადი განვითარების საფრთხეს შეიცავს. ამიტომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური განვითარების გზებს მომავალი თაობების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გათვალისწინებით განიხილავს. სწორედ ამაში მდგომარეობს მდგრადი განვითარების არსი, ყველაზე ხშირად მდგრადი განვითარების განსაზღვრისთვის გამოიყენება გარემოს დაცვისა და განვითარების საერთაშორისო კომისიის დეფინიცია (WCED, Brundtland Commission, 1987), რომლის თანახმადაც, „მდგრადი განვითარება პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.“ მდგრადი განვითარება ქმნის სათანადო პირობებს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის გათვალისწინებით.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო აღიარებს, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად სარგებლიანი, სოციალურად სამართლიანი და გარემოს დამზოგავი. შესაბამისად, მდგრადი განვითარება მოიცავს ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს.

მდგრადი განვითარების ეკოლოგიური ასპექტები უმთავრესად ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების დაცვას გულისხმობს. დღესდღეობით, დედამიწაზე განვითარებული ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ფლორა და ფაუნა განადგურების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, ვინაიდან ანთროპოგენური ჩარევა მათი განვითარების ბუნებრივ არეალს სპობს. ადამიანის ჩარევით დაბინძურებულია ჰაერი, ნიადაგი, წყალი, რაც საბოლოოდ უარყოფითად

აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, ამგვარი ანთროპოგენური ქმედებებით დედამიწაზე სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. საბედნიეროდ, პროცესი ამ ეტაპზე შეუქცევადი არ არის, თუმცა სტაბილურად დადებითი ცვლილებებისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი ღონისძიებების პოპულარიზაცია და განხორციელება. კაცობრიობა ვალდებულია, შეინარჩუნოს ბიომრავალფეროვნება, გადაშენებისგან დაიცვას, მოუფრთხილდეს ცხოველებისა და მცენარეების სახეობებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიის ენდემებად ითვლება; მოუფრთხილდეს ბუნებრივ რესურსებს და შეამციროს ჰაერის დაბინძურება, ელექტროენერგია მაქსიმალურად ჩაანაცვლოს განახლებადი რესურსებით – წყლის, ქარის, მზის ენერგიით, ბიოსაწვავით; უპირატესობა მიანიჭოს ადგილობრივ პროდუქციას; დანერგოს ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიები;

საქართველოს კონსტიტუციის 29 -ე მუხლის თანახმად:

- ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით; დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს შესახებ; იზრუნოს გარემოს დაცვაზე; მიიღოს მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაში.
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილია კანონით.

მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტი გულისხმობს სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეებზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის წევრებსაც, მიუხედავად მათი მატერიალური შესაძლებლობებისა, ხელი მიუწვდებათ აუცილებელ საჭიროებებზე, როგორიცაა საკვები, საცხოვრისი, ჯანდაცვა, განათლება, სამუშაო, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და ა.შ. ამისთვის აუცილებელია ადეკვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავება, დასაქმებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სისტემის შექმნა.

მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტი პირდაპირ უკავშირდება როგორც ეკოლოგიას და გარემოს დაცვას, ისე სოციალურ ფაქტორებს. ადამიანი იყენებს ტექნოლოგიური თუ ინდუსტრიული პროგრესის სიკეთეებს, თუმცა მხოლოდ იმგვარად, რომ გარემოს ნაკლები დაზიანება მიადგეს. აგროტურისტულ ცენტრებში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება, უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა, ნარჩენების ხელახალი გამოყენება და სხვა ქმედებები არათუ აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, არამედ ზრდის მის ეფექტიანობას ისე, რომ არ აზარალებს მომავალი თაობების ინტერესებს.

ტერმინი „მდგრადი განვითარება“ დამკვიდრდა უკანასკნელი 20-30 წლის წინ, თუმცა ჯერ კიდევ რომის იმპერიის ეპოქაში მიწის დამუშავებისას ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ მისი ნაყოფიერება ისე, რომ შემდეგ თაობებს პრობლემები არ შეჰქმნოდათ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექნოლოგიების განვითარება, მოსახლეობის ზრდა, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, წარმოებისა და ურბანიზაციის არნახული ზრდა აისახა გარემოზე. 70-იანი წლებიდან გაჩნდა ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივი შეზღუდვის პრობლემები. ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერებმა დონელა და დენის მედოუზებმა 1972 წელს, კომპიუტერული მოდელირების საფუძველზე, აჩვენეს, რომ თუ ეკონომიკის უკონტროლო

ზრდის, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ტემპები შენარჩუნდებოდა, მოსახლეობის რიცხოვნობის მატების ფონზე, 2100 წლისათვის მსოფლიო ეკონომიკა მივიდოდა თავისი განვითარების ზღვარზე. მძიმე სურათის ალტერნატივად შემუშავდა მსოფლიოს მდგრადი განვითარების კონცეფცია.

ტურიზმის მდგრადი განვითარება ითვალისწინებს ტურისტული პროდუქტების ინტენსიური მოხმარების კულტურის შეცვლას რესურსდამზოგავი მოხმარების კულტურით; ეკონომიკური და ეკოლოგიური ზრდის ფაქტორების, ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაბალანსებას.

აგროტურისტული საწარმო, მდგრადი განვითარების ფარგლებში, მისი ზომისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, გამოირჩევა განსაკუთრებული მიზნებით: ნარჩენების მინიმიზაცია; ლანდშაფტის, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ფლორასა და ფაუნას, ეკოსისტემების შენარჩუნება; კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილება; ბუნებრივი რესურსების დაცვა; ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციებს შენარჩუნება; ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა ტურისტულ პროცესებში, მათი დასაქმება; ადგილობრივი კერძებისა და ხელნაკეთი ნივთების პოპულარიზაცია; ადგილობრივი რესურსების სრულად წარმოჩენა და პოპულარიზაცია და ა.შ. ცნობილია, რომ ტურისტული ცენტრების პოპულარიზაცია უმეტესწილად ადგილობრივი კულტურისა და ბუნების უნიკალურობას ეფუძნება. მხოლოდ მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს აღნიშნული ცენტრების მიმზიდველობის შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში.

1990 წელს ვანკუვერში (კანადა) შემუშავდა იმ დადებითი შედეგების ფორმულირება, რაც ტურიზმის მდგრად განვითარებას მოაქვს, კერძოდ:

- მდგრადი ტურიზმი დადებით ზეგავლენას ახდენს ბუნებაზე, კულტურულ და სოციალურ გარემოზე;
- მდგრადი ტურიზმი უზრუნველყოფს შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას;
- მდგრადი ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ტურიზმში და მასთან დაკავშირებულ მომიჯნავე სექტორებში;
- მდგრადი ტურიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება განთავსების ობიექტები, ჰორეკა ბიზნესი, სატრანსპორტო სისტემები, რეწვა, აგრარული სექტორი, საექსკურსიო-საინფორმაციო ადგილობრივი ობიექტები;
- მდგრადი ტურიზმი უზრუნველყოფს ქვეყანაში ვალუტის შემოდინებას, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სოფლად;
- მდგრადი ტურიზმი უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის დასაქმებას მთელი წლის მანძილზე;
- მდგრადი ტურიზმის განვითარებაში მონაწილეობს მთელი საზოგადოება, ტურიზმისა და სხვა რესურსმომხმარებელი დარგების ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად;
- მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ჩამოყალიბებული რეკრეაციული ობიექტებით სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობაც, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით ხდება ადგილობრივი არქეოლოგიური, თუ სხვა სახის კულტურული ძეგლების შენარჩუნება-განახლება;

- ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი ბუნებრივი და კულტურული რესურსების მნიშვნელობას წარმოაჩენს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ამაღლებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;
- მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ხორციელდება ტურიზმის განვითარების პროცესის კონტროლი, ანალიზი და ეფექტიანი მენეჯმენტი, რის შედეგადაც უზრუველყოფილია ნეგატიური გამოვლინებების დროული აღმოფხვრა.

2015 წლის 12 დეკემბერს ქ. პარიზში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში, მიღებულ იქნა პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ. სწორედ კლიმატის ცვლილება მიიჩნევა მთავარ გამოწვევად გრძელვადიან პერიოდში ტურიზმის განვითარებისთვის. 2015 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე საიუბილეო სესიაზე, ნიუ-იორკში, 193 სახელმწიფოს შეთანხმებით, შემუშავდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი, რომელიც 2030 წლამდე განსახორციელებელ მიზნებს მოიცავს. დოკუმენტს ეწოდა „გარდავქმნათ მსოფლიო: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. პარტნიორობის მმართველი კომიტეტის წევრებმა მიიღეს ღია მმართველობის ერთობლივი დეკლარაცია 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ. ბევრმა მთავრობამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლითაც ვალდებულება აიღეს განახორციელონ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები და ამ გზით ხელი შეუწყონ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას, გამჭვირვალობის, ჩართულობის, ანგარიშვალდებულების გაზრდის და ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე. OGP, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობა, მოიცავს ეროვნული პოლიტიკის პლატფორმას (ეროვნული სამოქმედო გეგმების სახით), ანგარიშვალდებულების მექანიზმებს (ღია მმართველობის პარტნიორობის დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის სახით) და წარმოადგენს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ეფექტიან საშუალებას. OGP-ის ღია მმართველობის გზამკვლევის სპეციალური გამოშვება ყურადღებას ამახვილებს ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნის განხორციელების ხელშეწყობის გზებზე, მათ შორის საჯარო სერვისების გაუმჯობესებისა და სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დოკუმენტის სამ მიზნობრივ კატეგორიაში ტურიზმი, მოხსენებულია, როგორც სტრატეგიული დარგი, კონკრეტულად: მიზანი №8 – „სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“, მიზანი №12 – „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ და მიზანი №14 „ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის“. თუმცა, ყოველი მიზანი გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვით სრულად შეესაბამება ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს, განვიხილოთ თითოეული მათგანი მოკლედ:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

მდგრადი ტურიზმის როლი, ღია მმართველობის სუბიექტებთან ერთად, მდგომარეობს იმ ინსტიტუტების ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდაში, რომლებიც მოქალაქეებს საჯარო

სერვისებს აწვდიან. რეგიონის მოსახლეობას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია ფინანსური სახსრების გახარჯვასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი პრიორიტეტების შესაბამისად. ეს ფაქტი ხელს შეუწყობს სოფლის ტურიზმის, აგროეკოტურიზმის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას კონკრეტულ რეგიონსა თუ სოფელში. შედეგად, უფრო სწრაფად დაიწყება აგროტურიზმის აღორძინება, რაც აუცილებლად განაპირობებს სიღარიბის აღმოფხვრას ადგილობრივ მოსახლეობაში. ფინანსური თვალსაზრისით, მოწყვლად ჯგუფებს შეეძლებათ ყველაზე მეტად საჭირო სერვისების მიღება. ღია მმართველობის პარტნიორობის გზით შესაძლებელია სიღარიბის აღმოფხვრის საერთაშორისო პროგრამებში ჩართვა, აგროტურიზმის განვითარებისთვის საჭირო მიზნობრივი გრანტების მოზიდვა, რაც რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრას უზრუნველყოფს.

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კვების გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

მოცემული მიზანი მდგრადი აგროტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. მეტი გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა ღია მმართველობის პირობებში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შიმშილის აღმოფხვრასა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ღია მმართველობა ასევე უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ხელს უწყობს საკვები პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს, რომ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გამჭვირვალე, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული მმართველობა მიწისა და ზღვის რესურსების კომერციულ გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს მეთევზეობისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველს. აგროტურისტულ საწარმოს ეძლევა ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელების შესაძლებლობა: ტრადიციული და ენდემური სასოფლო-სამეურნეო ჯიშების, სახეობების, ტრადიციული კერძების მოძიება-აღდგენა, მემცენარეობის, მეცხოველეობისა თუ მეფრინველეობის მიმართულებით თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება-დანერგვა, ტრადიციულ მეთოდებთან მათი ინტეგრირება და ადაპტირება და ა.შ., რაც ხელს შეუწყობს აგროტურიზმის სწრაფ განვითარებას, მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოზიდვას და ამ გზით, ადგილობრივ მოსახლეობაში შიმშილის აღმოფხვრას;

მიზანი 3: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

ცხადია, ღია მმართველობის როლი ეფექტიანი ჯანდაცვის სისტემის შექმნაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ მოქალაქეებმა მიიღონ ჯანდაცვის ხარისხიანი მომსახურება, ყურადღება მახვილდება ჯანდაცვის სერვისების სოციალურ შეფასებასა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებაზე. ასევე, მოქალაქეების მხრიდან უკუკავშირს, რომელიც გამყარებულია გამჭვირვალე ინფორმაციით ჯანდაცვის მომსახურების შესახებ, შეუძლია, უზრუნველყოს უკეთესი ხარისხისა და მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდება.

გარდა ამისა, ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ჯანდაცვის გამართული, ხარისხიანი მომსახურების ფაქტორი. მაგალითად, სვანეთში არსებული პრობლემების განხილვისას ხშირად აღინიშნება არადამაკმაყოფილებელი ჯანდაცვის მომსახურება ადგილობრივ დონეზე, რის გამოც ტურისტებს სერიოზული სამედიცინო დახმარების საჭიროებისას გადაადგილება ზუგდიდამდე ან ქუთაისამდე უწევთ.

ცნობილია, რომ აგროტურიზმის მთავარი დანიშნულება არის ობიექტზე არსებული აგრარული მეურნეობის სამუშაოებში ჩართვა და ადგილობრივი პროდუქტებით კვება. საკვები უნდა იყოს ჯანსაღი, რაც გულისხმობს მის უვნებლობას, პესტიციდების არარსებობას, მშრალი ორგანული ნივთიერებების, მინერალების, ვიტამინების საკმარისი რაოდენობით შემცველობას. ანალოგიური ხარისხის პროდუქტი მიიღება ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენებით მეურნეობაში, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო პირობებში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია თავად აგრომეწარმის, ტურისტული ობიექტის მფლობელის ჯანმრთელობა და მისი კეთილდღეობა.

მნიშვნელოვანია ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია სოფლის მოსახლეობაში, რათა მათ პირველ რიგში საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნონ და ასევე, მათი აგროტურისტული ობიექტი გამართონ ისე, რომ ჩამოსულ აგროტურისტებს ჰქონდეთ საშუალება, იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით, აგროტურისტული ობიექტი უზრუნველყონ სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ადგილებით, შეძლონ ცხენებით ჯირითის, ველოტურის და სხვა აქტივობების შეთავაზება.

მიზანი 4: ხარისხიანი განათლება ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

განათლება ყველა სფეროს განვითარების საფუძველია. რა თქმა უნდა, სათანადო განათლება აგროტურიზმის წამოწყებას და მართვასაც სჭირდება. ღია მმართველობის მექანიზმებით უმჯობესდება საჯარო მომსახურების მიწოდება. ღია საბიუჯეტო პროცესების მეშვეობით შესაძლებელი ხდება განათლების სფეროში პრიორიტეტული საკითხების გამოყოფა და ბენეფიციარების განსაზღვრა. სკოლების მონიტორინგის პროცესში საზოგადოების ჩართვას შეუძლია გამოიწვიოს ნდობის გამყარება და უზრუნველყოს საჯარო განათლების გაუმჯობესების მიზნით შედეგზე ორიენტირებული მიდგომა.

სასურველია, იმ რეგიონებში, სოფლებში, სადაც ტურისტულ სექტორს განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, ისწავლებოდეს ზოგადად ტურიზმის საფუძვლები და ამავე დროს მეტად სიღრმისეულად – ტურიზმის ის კონკრეტული მიმართულებები, რაც უშუალოდ მოცემული რეგიონისა თუ სოფლის განვითარებისთვის იქნება მეტად მნიშვნელოვანი. ასეთია სწორედ აგრარული ტურიზმის მიმართულებით სათანადო ცოდნის გავრცელება, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებში. სასურველია, აგროტურისტული ცენტრი სტუმარს, ბიომეურნეობის პრინციპების პრაქტიკულად შესწავლასთან ერთად, სთავაზობდეს სასერტიფიკატო სემინარებს ბიოლოგიურად სუფთა, ასევე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ტურიზმში მოცემული მიზნის განხილვა შესაძლებელია იმ კონკრეტული მიმართულებების განვითარებით, რაც მეტად მოითხოვს ქალთა ჩართულობას, დასაქმებასა და მათი პოტენციალის გაუმჯობესებას. აგროტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მიმართულებაა ქალთა პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად. აგროტურისტული ობიექტი, რომელიც ტურისტს აცნობს ადგილობრივ ეთნოკულტურას, ხელსაქმეს, გასტრონომიას, ხშირად მოითხოვს ყველა ასაკის ქალის ჩართულობას. სწორედ ასაკოვანი ქალბატონების ცოდნა და გამოცდილება არის ეთნოკულტურის მნიშვნელოვანი ღირებულება. შესაბამისად, აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ქალთა დასაქმებას ყველა ასაკში მათ თვითრეალიზაციას, სოციალურ დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობას.

ღია მმართველობა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას სხვადასხვა სექტორში არსებული გენდერული უთანასწორობების აღმოფხვრით. ქალთა როლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდა შესაძლებელია იმგვარი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, რომლებიც სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას უწყობს ხელს.

მიზანი 6: სუფთა წყალი და სანიტარია, წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

აგროტურზიმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარული ნორმების დაცვას, მათ შორის სუფთა წყლის მიწოდების მიმართულებით. სოფლებში, სადაც უკონტროლოდ მიმდინარეობს მდინარეების, წყაროების, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, შეუძლებელია ტურისტისთვის სასურველი გარემო შეიქმნას. წყლის დაბინძურება მოსახლეობაში არსებული დაბალი განათლებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სიმცირის გამო სულ უფრო დიდი პრობლემა ხდება ტურიზმის განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მდინარეების, წყაროებისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება ხდება შემდეგი მიზეზით:

- საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა;
- შხამ-ქიმიკატების, პესტიციდების უკონტროლო გამოყენების გამო.

აუცილებელია აგროტურისტულ ობიექტზე მოცემული პრობლემები აღმოფხვრილი იყოს. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ სოფელში აღინიშნება საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, ფერმერმა უნდა დაამონტაჟოს ბიოტუალეტი, რაც გულისხმობს სამზარეულოსა და აბაზანა-ტუალეტების ჩამდინარე წყლების (კანალიზაცია) გაწმენდას ტექნიკური წყლის დონემდე, რომელიც საბოლოოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წყლის მოყვარული მცენარეების მოსარწყავად წვეთოვანი სისტემის პრინციპით. თავისთავად, ბიო აგრო ფერმერი გამორიცხავს შხამ-ქიმიკატების, პესტიციდების გამოყენებას.

მნიშვნელოვანია, რომ ფართო საზოგადოებას, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს, შესაძლებლობა ჰქონდეთ, ჩაერთონ წყლის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვაში, რათა ზუსტად გამოვლინდეს ინვესტიციების განხორციელებისთვის პრიორიტეტული მიმართულებები.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია. ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო უზრუნველყოფა

ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება მოითხოვს სექტორებს შორის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გამოყენებას, რათა წახალისდეს მთავრობას, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა. სექტორთაშორისი თანამშრომლობა გააუმჯობესებს საჭიროებების სწორად შეფასებას და ენერგიის ეფექტიანად გამოყენებისთვის სტრატეგიების შემუშავებას. სახელმწიფოს როლი აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვანია, სათანადო კანონმდებლობის მიღება, ინფრასტრუქტურის გამართვა და ა.შ. არის საფუძველი იმისა, რომ ქვეყანაში დაინერგოს ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიები, მოსახლეობამ სულ უფრო მეტად გამოიყენოს ენერგიის განახლებადი წყაროები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგროტურიზმის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვას. ეს აუცილებელია სხვადასხვა მიმართულებით:

- აგროტურისტულ ობიექტს გააჩნდეს მეტი ხელმისაწვდომობა ენერგიაზე;
- აგროტურისტული ობიექტისთვის დიდი საგადასახადო ტვირთი არ მოდიოდეს ენერგიის გამოყენებაზე;
- განახლებადი ენერგიის წყაროების ფართო ამოქმედებითა და პრაქტიკაში დანერგვით მოიზიდოს მეტი ეკო-ტურისტი.
- შექმნას ინოვაციური, სადემონსტრაციო ნაკვეთები, ობიექტები, ენერგოეფექტიანი სათბურები (მზის სათბური, ენერგოეფექტიანი ღუმლის გამოყენებით), გადამამუშავებელი მინი ქარხანა, ენერგოეფექტიანი დანადგარებით და ა.შ.

მიზანი 8: ღირსეული სამუშაო პირობები და ეკონომიკური ზრდა სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული დასაქმება და ღირსეული სამუშაო პირობები ყველასთვის.

ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ნაწილია საჯარო სექტორის ფინანსების მენეჯმენტისა და ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ღია მმართველობის პარტნიორობას ძალუძს ბიზნეს ინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის წახალისება. ღია მონაცემების არსებობა ხელს უწყობს ახალი ბიზნეს სერვისებისა და პროდუქტების შექმნას.

აგროტურიზმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო საგრანტო პროგრამებზე ხელმისაწვდომობას. აგრარული მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები უნდა იყოს დამყარებული ადგილობრივი და უცხოური ჯიშების პროდუქტიულობის ზრდაზე, მაქსიმალურად შემცირებული (ან საერთოდ უარყოფილი) ქიმიური პრეპარატების გამოყენებით საუკეთესო, ჯანსაღი საკვების პროდუქტების მიღებაზე.

მიზანი 9: ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

ღია მმართველობის პრინციპებს შეუძლია ხელი შეუწყოს ინდუსტრიისა და ინოვაციების განვითარებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტერნეტზე წვდომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისთვის, აგროტურისტული ობიექტის შეთავაზებების, პირობებისა და სხვა სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით.

უსაზღვროდ დიდია ინტერნეტის როლი ონლაინ აგროტურიზმის განვითარებაში, აგროტურისტებისთვის შეთავაზების გაცილებით ეფექტიანი საშუალებების, სხვადასხვა მარკეტინგული არხის გამოყენების მიმართულებით. ასევე აგროტურისტულ ობიექტს ეძლევა საშუალება, პოტენციურ ტურისტებს დისტანციურად ჩაუტაროს მასტერკლასები, რათა მეტი მოტივაცია მისცეს ადგილზე ჩამოვიდეს და საკუთარი ხელით შექმნას, მოამზადოს, დააგემოვნოს, მოინახულოს, ჰქონდეს სტიმული, ადგილზე განიცადოს ის დადებითი ემოცია, რასაც ონლაინ რეჟიმში ხედავს.

მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა. უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული რეგულაციები და ინსტიტუტები ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ქმნის ხელსაყრელ პირობებს მასშტაბური ეკონომიკური საქმიანობისთვის. სამთავრობო გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, როლის გაზრდა – ამცირებს ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილ უთანასწორობებს და ხელს უწყობს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. ასევე, გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარების პოლიტიკის წახალისება ხელს უწყობს სწორედ იმ ქვეყნებისა და ჯგუფების დახმარებას, რომელთაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

თავის მხრივ, ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება ხელს უწყობს აგროტურისტების თავისუფალ გადაადგილებას და შესაბამისად, აგროტურიზმის განვითარებას.

მიზანი 11: მდგრადი ქალაქები და თემები. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ურბანიზაციის ზრდასთან ერთად იზრდება ეფექტიანი ადგილობრივი მმართველობის მნიშვნელობა. OGP-ის პრინციპების (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო ჩართულობა) დანერგვა გააუმჯობესებს მოქალაქეთა ყოფას, რადგან საჯარო სერვისები თემებს სწორედ ადგილობრივ დონეზე მიეწოდებათ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი გამჭვირვალობა და სამოქალაქო ჩართულობა ადგილობრივი მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას იწვევს. მაგალითად, მოქალაქეთა მონაწილეობით შედგენილი ბიუჯეტი შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს თემში არსებული გამოწვევების შესაბამისად მოახდინონ ბიუჯეტის პრიორიტეტიზება. ასევე, მასშტაბურ სამოქალაქო ჩართულობას შეუძლია საჯარო სერვისების ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, მოქალაქეთა

ჩართულობით შესაძლებელია ისეთი სერვისების მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება, როგორიცაა ჯანდაცვის, განათლების, განსახლების, პოლიციის, წყლისა და საკვების დისტრიბუციის სერვისები.

იმ კონკრეტულ სოფლებში, რეგიონებში, სადაც აგროტურიზმის დიდი პოტენციალია, პრიორიტეტული უნდა გახდეს და სწორედ ამ მიმართულებით მოხდეს ბიუჯეტის შედგენა, აგროტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი დარგების გამოყოფა და გათვალისწინება.

მიზანი 12: პასუხისმგებლობიანი მოხმარება და წარმოება. მდგრადი მოხმარება და წარმოება.

რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპში აღნიშნული OGP-ის პრინციპები (ინფორმაციაზე წვდომა და სასამართლო სისტემაზე ხელმისაწვდომობა) ხელს უწყობს პასუხისმგებლობიან მოხმარებასა და წარმოებას. საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას განსაზღვრავს, უადვილებს საზოგადოებას გარემოსდაცვითი რისკებისა და საკითხების იდენტიფიცირებას. ჩართულობის მექანიზმები მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ხოლო, სასამართლო სისტემაზე ხელმისაწვდომობა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, რომ დაკმაყოფილდეს მათი საჩივრები.

ბიო აგროტურიზმის სფეროში თავისთავად გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობიანი მოხმარება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მდგრადი ტურიზმისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის, ვინაიდან უმთავრესი საკითხია, აგროპროდუქტების პასუხისმგებლობიანი და მდგრადი წარმოება.

მიზანი 13: გარემოსდაცვითი ღონისძიებები. კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

მასშტაბურ გამოწვევას წარმოადგენს კლიმატის ცვლილება, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის მსოფლიო. ამ კუთხით აუცილებელია არსებობდეს ანგარიშვალდებული მთავრობა, მოქნილი ინსტიტუტები, იყოს რესურსებისა და მონაცემების ღიაობა. კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული მრავალი საერთაშორისო ძალისხმევა ემყარება ღია მმართველობის პრინციპებს (მაგალითად, რიოს მე-10 პრინციპი). გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ მმართველობის სისტემებში სამოქალაქო ჩართულობის მძლავრი და ინკლუზიური მექანიზმები მოქალაქეებს ეხმარება მოწყვლადი საზოგადოებების დაცვისთვის საჭირო რესურსების პრიორიტეტების დადგენაში.

კლიმატის ცვლილების პირობებში აუცილებელია ნებისმიერი სახის ბიზნესი ორიენტირებული იყოს ბიოლოგიურად სუფთა და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებაზე. მათ შორის, ტურიზმის სექტორში უმთავრესად ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე ორიენტირებული პროგრამების გატარებაა აუცილებელი.

ბიო აგროტურიზმი პირდაპირ პასუხობს მდგრადი განვითარების მოცემულ მიზანს.

მიზანი 14: სიცოცხლე წყლის ქვეშ. ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და გონივრული გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის.

მუდმივი და ჭარბი თევზჭერა სახელმწიფო და საერთაშორისო მმართველობის წარუმატებლობის სიმბოლოდ იქცა. აგროტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისა და საზღვაო რესურსებით დაინტერესებული ჯგუფების მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ ოკეანისა და საზღვაო რესურსების ადეკვატური მეურვეობა. კომერციული თევზჭერის ლიცენზიების, თევზჭერის კვოტების, ჯარიმებისა და სუბსიდიების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა ხელს შეუწყობს კვლევას, საჯარო დისკუსიასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანასწორობის დამკვიდრებას. ინფორმაციის დროული გამოქვეყნება აუცილებელია დარღვევებისა და უკანონობის დასაფიქსირებლად.

აკვა აგროტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია გარემოს დაბინძურების ზედამხედველობისა და საზღვაო რესურსების გამოყენების შესახებ რეგულაციების გამჭვირვალობა, საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერა დარღვევების დაფიქსირების პროცესში და კერძო კომპანიების სიცხადის უზრუნველყოფა.

მიზანი 15: სიცოცხლე ხმელეთზე, დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

ანგარიშვალდებულიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი განაპირობებს მიწის მენეჯმენტის სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც ერთობ მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარებისთვის. მიწისა და რესურსების ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, იცავს მოწყვლად საზოგადოებრივ ჯგუფებს და ბუნებრივ გარემოს. ღიაობის დამკვიდრება სახელმწიფო ორგანიზაციებს ეხმარება: რესურსების გამოყენების დანახარჯებისა და უპირატესობების შეფასებაში, ბიომრავალფეროვნების დაცვაში, მიწაზე საკუთრების უფლების დაცვასა და მოპოვებითი ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული შემოსავლების თანაბარ განაწილებაში.

ბიო აგროტურიზმის სექტორში მოცემული მიზანი უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რაც ნიადაგის დეგრადაციის შეჩერებას და ბიომრავალფეროვნებას ეხება. მიწის რესურსის ეფექტიანი, გონივრული და მდგრადი გამოყენება ეფუძნება ბიოლოგიურად სუფთა მეთოდების მაქსიმალურ დანერგვასა და გამოყენებას. ეკომეგობრული ტექნოლოგიები, ბიომეურნეობები, პერმაკულტურა, ბიოდინამიური მეურნეობა – თითოეული მათგანი ემსახურება ნიადაგის დეგრადაციის შეჩერებას, რესურსების სრულ დაცვასა და მათ აღდგენას, რის საფუძველზეც ხდება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დედამიწის ეკოსისტემის დაცვა.

მიზანი 16: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

სამთავრობო საქმიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, კორუფციისგან თავისუფალი მთავრობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა – ღია მმართველობის პარტნიორობის ფუნდამენტური პრინციპებია. აგროტურიზმის განვითარებისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სახის ტურიზმისთვის, ცალსახად მნიშვნელოვანია არაკორუფციული გარემოს არსებობა, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ფუნქციონირება.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. მდგრადი განვითარების განხორციელების საშუალებების განმტკიცება და მსოფლიო პარტნიორობის მნიშვნელობის ხელახალი გააზრება.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გაუმჯობესებული მმართველობის პირობებში. ღია მმართველობის პარტნიორობა არის დაინტერესებულ პირთა ნებაყოფლობითი პლატფორმა განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. ქვეყნებს შორის შეთანხმებული ქმედებები, ურთიერთთანამშრომლობა, გამჭვირვალობა და ღიაობა ხელს უწყობს თითოეული ქვეყნის ტურისტული, მათ შორის აგროტურისტული პოტენციალის ამოქმედებას, გაუმჯობესებას, ცნობადობას, რაც საბოლოო ჯამში, რეგიონებისა და სახელმწიფოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს.

ეკო აგროტურიზმი – მდგრადი განვითარებისათვის

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზების თანახმად, (Tourism 2020 Vision) XXI საუკუნის ტურიზმის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებებს შორის აღიარებულია ეკოლოგიური ტურიზმი, რასაც ამყარებს კაცობრიობის ეკოლოგიური შემეცნების მზარდი ტენდენცია.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (The International Ecotourism Society – TIES) განმარტებით, ეკოტურიზმი არის „პასუხისმგებლობით აღსავსე მოგზაურობა ბუნებრივ ზონებსა და რეგიონებში გარემოსდაცვითი დამოკიდებულებით, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“. 1960-იან წლებში მსოფლიოს მასშტაბით გახშირდა ვეშაპების სანაპიროზე გამორიყვის ფაქტები. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მოძრაობა, გამორიყული ვეშაპების დახმარების მიზნით, აქედანვე წარმოიშვნენ „ახალი ტიპის ტურისტები“, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით გარემოს მიმართ. თანამედროვე ეტაპზე ტერმინის განმარტების უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს. თავად ცნება 1983 წელს დაამკვიდრა მექსიკელმა ეკონომისტ-ეკოლოგმა ჰექტორ ცებალოს-ლასკურეინმა, რომელიც ეკოტურიზმს შემდეგნაირად განმარტავდა: „მოგზაურობა – შედარებით ხელუხლებელ და დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნით, კერძოდ, განათლებისთვის, ბუნების პეიზაჟებით, მცენარეებითა და ველური ცხოველებით აღტაცებისა და ტკბობისთვის, ასევე, ამ ტერიტორიების კულტურული თავისებურებების შესასწავლად“.

ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპებია:

- მინიმალური ფიზიკური, სოციალური, ქცევითი და ფსიქოლოგიური ზეგავლენა;
- ცნობიერების ამაღლება გარემოსა და კულტურასთან დაკავშირებით;
- პოზიტიური გამოცდილება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტისთვის, პოლიტიკური, ბუნებრივი და სოციალური კლიმატის მგრძნობელობის ამაღლების მიმართულებით;
- ბუნების დასაცავად პირდაპირი ფინანსური ბენეფიტები;
- ადგილობრივი მოსახლეობისა და კერძო ინდუსტრიის ფინანსური სარგებელი;
- ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების, რელიგიის, ტრადიციების პატივისცემა;
- გარემოზე მინიმალური ზემოქმედების ობიექტების შექმნა და ექსპლუატაცია.

დღეს მნიშვნელოვნად მზარდია ხელუხლებელი ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მონახულების სურვილი საზოგადოებაში.

ეკოტურიზმი, როგორც მდგრადი ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, ტურიზმის სხვა სახეობებთან შედარებით მცირე კაპიტალს მოითხოვს, ამასთან, მეტად მრავალფეროვანია და მეტი მომგებიანობაც ახლავს სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში.

ეკოტურიზმი მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

- ბუნების აღქმა – ტურისტების მიერ ბუნების შესწავლა, ახალი ცოდნისა და ჩვევების მიღება და გაზიარება;
- ეკოსისტემების შენარჩუნება – ტურისტული ჯგუფი იცავს შესაბამის ქცევას მარშრუტზე, ამავე დროს მონაწილეობს გარემოსდაცვით ღონისძიებებში.
- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემა – ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციების დაცვა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;

გამოიყოფა ეკო აგროტურიზმის შემდეგი სახეები:

- სამეცნიერო ეკო აგროტურიზმი – ნაკლებად შესწავლილი ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ადგილობრივი (მათ შორის ენდემური) აგრარული პოტენციალის შესწავლასთან ერთად;
- შემეცნებითი ეკო აგროტურიზმი – ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ღირსშესანიშნაობების შესწავლა (სპელეოტურიზმი, არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური ტურიზმი), ბიოტექნოლოგიების, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების ათვისება;
- რეკრეაციული ეკო აგროტურიზმი – გულისხმობს დასვენებას ისეთ ბუნებრივ გარემოში, რომელიც მდიდარია გამაჯანსაღებელი ფაქტორებით, როგორიცაა ბალნეო და პელოთერაპია (ტალახებით, გოგირდოვანი წყლებით მკურნალობა), აპითერაპია (ფუტკრის პროდუქტებით), იპოთერაპია (ცხენებით თერაპია), ენოთერაპია (ღვინით თერაპია), ჰომეოპათია, ჰირუდოთერაპია (წურბელებით თერაპია), ფიტოთერაპია (აგროტურისტული ეკოლოგიურად უსაფრთხო ზონიდან მიღებული სამკურნალო მცენარეებით), დიეტოთერაპია (ჯანსაღი კვება) და სხვა;
- ეკო აგროტურიზმი ბუნებაში – ორიენტირებულია ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე. იგი მოიცავს ბიოტურიზმს, რომლის ობიექტია ცალკეული სახეობები და ბიოცენოზები, ეკოსისტემები, როგორც ეკოლოგიური, ისე აგრარული მიმართულებით;

- ეკო აგროტურიზმი ველურ ბუნებაში – ორიენტირებულია დაცულ ტერიტორიებზე, ასევე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებულ, მიუვალ და ადამიანის მიერ ხელშეუხებელ ტერიტორიებზე. ასევე, მათ სიახლოვეს, ადგილობრივი პროდუქტების მოყვანის აგროტექნოლოგიებზე ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში მათივე პოპულარიზაციისთვის;
- მწვანე ეკო აგროტურიზმი – გულისხმობს ტურიზმს, რომელიც ორიენტირებულია გარემოზე მინიმალური ზემოქმედების მქონე ბიოლოგიურად სუფთა, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებაზე.
- ეთნო-ეკოლოგიური აგროტურიზმის მიზანია კონკრეტულ ტერიტორიაზე ეთნოსებისა და სუბეთნოსების ბუნებრივ გარემოში ჩამოყალიბების გზების, ბუნებასთან მათი დღევანდელი ურთიერთკავშირების, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესისა და კულტურის, ტრადიციების შესწავლა, სასოფლო-სამეურნეო და კულინარიული გამოცდილების გაზიარება;
- სარეაბილიტაციო ეკო აგროტურიზმი – ეკოლოგიური ტურიზმის კიდევ უფრო სიღრმისეული ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს არამხოლოდ რეკრეაციაში ჩართული ტერიტორიების დაცვასა და შენარჩუნებას, არამედ მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- აგროტურიზმი, როგორც ეკოტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე, მეტად გავრცელებულია ინდუსტრიულ ქვეყნებში და გამყარებულია დიდი ქალაქების მოსახლეობის სურვილით, თავი დააღწიონ მეგაპოლისებს, ხმაურს, დაბინძურებას, იცხოვრონ სოფელში, გლეხისა და ფერმერის სახლში, მათივე ცხოვრების წესით, განიტვირთონ და გაიჯანსაღონ როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობა.

ეკოტურიზმის ზემოქმედების პოზიტიური შედეგები მრავალგვარია:

- შემოსავლების უზრუნველყოფა გარემოს დასაცავად;
- მდგრადი ინვესტიციები დაცული ტერიტორიებისთვის;
- ადგილობრივ მოსახლეობის წახალისება, პატივის სცენ და დააფასონ საკუთარი კულტურა;
- ბუნებასთან მჭიდრო და ძლიერ შთამბეჭდავი ურთიერთობა, რომელიც ხელახლა განცდის სურვილს აღძრავს ადამიანებში.
- სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ISO) შეიმუშავა სტანდარტები, რომელიც მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარებისთვის:
- ISO 20121 ღონისძიებების მდგრადი მენეჯმენტის სისტემა – ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადა სწორედ ამ სტანდარტის მიხედვით ჩატარდა. აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვას ისე, რომ გარემოზე მოხდეს მინიმალური ზემოქმედება.
- ISO 21416 – წყალქვეშ ყვინთვა მზარდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ დროს ხშირია წყლის დაბინძურება. ISO 21416 სტანდარტი გვაძლევს საშუალებას, დაივინგი წყლის დაბინძურების გარეშე განხორციელდეს.
- ISO 18065 სტანდარტი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ველურ ბუნებაში დასვენების პროცესში გარემოს დაბინძურების, ენდემურ მცენარეთა თუ ცხოველთა ჯიშებისთვის, წითელ წიგნში შეტანილი სახეობებისთვის ზიანის მიყენების საფრთხეები.

გამოკვლევების თანახმად, ეკოტურისტები ასაკით უფრო ახალგაზრდები არიან, ვიდრე საშუალოდ ინდუსტრიაში ჩართული ერთი მოგზაური. ინფრასტრუქტურის კუთხით მოცემულ სეგმენტზე გაცილებით ნაკლები დანახარჯი გაიწევა, სხვა ტიპის მოგზაურებთან შედარებით.

ეკოტურისტთა შემდეგ სახეები შეიძლება გამოიყოს:

- სტანდარტული მოგზაურები – ეკოტურების ძირითად მომხმარებლები, მათ იზიდავთ ახალი შეგრძნებები, ამავე დროს დაინტერესებული არიან ტურიზმის სხვა სახეობებითაც და არიან მათი მომხმარებლებიც;
- სიახლის მოყვარული ტურისტები – ეკოტურს ირჩევენ ახალი გამოცდილების მისაღებად. მათ იტაცებთ სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული რეგიონების კულტურა, ტრადიციები, ბუნება. მათი გატაცებაა რაც შეიძლება მეტი რეგიონის დათვალიერება, გაცნობა და აღქმა;
- ტურისტები – სპეციალისტები, რომლებიც ეკოტურების საშუალებით იღებენ სამეცნიერო, ეთნოგრაფიულ თუ სხვა სახის ინფორმაციას, კვლევებში, ნაშრომებში, წიგნებსა და ა.შ. გამოყენების მიზნით;
- შემთხვევითი ტურისტები – ყოველგვარი შერჩევის გარეშე ხვდებიან ეკოტურებში, შესაბამისად, ხშირად მათ ნაკლები ცოდნა აქვთ ეკოტურიზმის შესახებ და მათი მოგზაურობაც არ არის მიზანმიმართული.

მსოფლიოს მასშტაბით იკვეთება ასამდე ქვეყანა, რომელსაც ქვეყნისა თუ რეგიონის დონეზე განსაკუთრებულად აქვს განვითარებული ეკოტურიზმი და მდგრადი ტურიზმი. აღნიშნულ ქვეყნებში მოცემული შედეგი ბოლო 30 წლის მანძილზე ჩამოყალიბდა. არცერთი სხვა სახის ტურიზმი მსგავსი სისწრაფით და ტემპებით არ გამხდარა გლობალური ეკონომიკის ფუნდამენტი.

ეკოლოგიური ტურიზმის მიმართულებით პოპულარული და წარმატებული ქვეყნებია:

გალაპაგოსის კუნძულები – რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჭარბი მოსახლეობისა და არასწორად მართვადი ტურიზმის საფუძველზე ბევრი ეკოლოგიური რისკი არსებობდა, აღნიშნული კუნძულები მდგრადი ტურიზმის მოდელს საერთოდ არ წარმოადგენდა. ამ მიზეზით 2007 წელს მოხვდა იუნესკოს საფრთხის ქვეშ მყოფი ადგილების სიაში. დღეს კი არქიპელაგი ერთ-ერთი ცნობილი ეკოტურისტული ადგილია, სადაც უნიკალური ენდემური ფლორა და ფაუნა არის წარმოდგენილი. ამავე დროს, დაწესებულია ვიზიტორთა რაოდენობრივი ლიმიტები.

კოსტა-რიკა – ტერიტორიის თითქმის მეოთხედი უჭირავს ეროვნულ პარკებს, დაცულ ტერიტორიებს და ნაკრძალებს, რომელთა შექმნა ძირითადად გასული საუკუნის 70-იან წლებს უკავშირდება. გარემოსდაცვითი ღონისძიებებითა და სულ უფრო მეტი ვიზიტორის მოზიდვით ტურიზმის ინდუსტრია უსწრაფესად განვითარდა. კოსტა-რიკას ტროპიკული ტყეების შემოვლა ძირითადად ლაშქრობით ხდება, ამ დროს გარემო აღიქმება განსაკუთრებულად, ამავე დროს ლაშქრობა დათვალიერების ყველაზე ჯანსაღი ფორმაა.

ჰავაის კუნძულები – აქ მაცხოვრებელთათვის მიწაზე ზრუნვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, „რათა მიწამ აღზარდოს“ თითოეული მათგანი. მოსახლეობის განსაკუთრებული მიდგომა და კონცეფცია აისახება მათი ცხოვრების წესშიც, რომელიც ადამიანისა და გარემოს სიჯანსაღეზეა ორიენტირებული. ჰავაის კუნძულებზე ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივების მიწის სამუშაოებში, ფლორის აღდგენით თუ გასაუმჯობესებელ ღონისძიებებში, დარგონ ხეები და ა.შ.

კოლუმბია – აღიარებულია, რომ რესპუბლიკა გადაარჩინა მდგრადი ტურიზმის განვითარებამ. აქ უამრავი საინტერესო და უაღრესად ღრმა შთაბეჭდილებების, დადებითი ემოციების დაგროვების წყარო არსებობს. კოლუმბია ცნობილია ეკოტურისტული ატრაქციებით, ულამაზესი სანაპიროებით, ამაზონის რეგიონით, დაცული ტერიტორიებით და ა.შ. Waves washing up on beach in Colombia დაკარგული ქალაქის მოსანახულებლად, რომელიც მე-8 საუკუნის ისტორიას აცოცხლებს, ერთადერთი გზა მის მოსანახულებლად არის ჯუნგლები, რომელთა გადალახვას დაახლოებით 5 დღის მანძილზე ფეხით სიარული სჭირდება.

აგროტურიზმის დაგეგმვა და გაძღოლა მდგრადი განვითარების ასპექტში

ეკო აგროტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სამი ძირითადი კომპონენტი:

- ხარისხი – ფასის შესაბამისი მომსახურების შეთავაზება მისი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- უსაფრთხოება – პროდუქტის გამოყენებისას მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება/შემსუბუქება (მაგ. სათავგადასავლო ტური);
- ავთენტურობა – შეთავაზებული ტურისტული მომსახურებების შესაბამისობა რეგიონის კულტურულ გარემოსთან (მაგ. ტრადიციული სამზარეულო, ფოლკლორი, ადათ-წესები).

ეკო აგროტურისტული პროდუქტის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ინტერპრეტაცია, რომელიც გულისხმობს მოგზაურთათვის ადგილობრივი კულტურისა და ენდემური ფლორისა და ფაუნის შესახებ აღქმადი ინფორმაციის მიწოდებას. მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის კვლევა ადასტურებს, რომ ეკოტურისტების მოგზაურობის ძირითადი მიზანი პირველ რიგში თვითმყოფადი ბუნებაა, ხოლო შემდეგ მკვიდრი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი აგრარული კულტურის, გამოცდილების, ენდემური ჯიშებისა და მათი სპეციფიკის გაცნობა.

ეკოტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ქვეითად სიარულს და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ეკოტურისტის არჩევანს აგრეთვე განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- სამოგზაურო ადგილის უნიკალურობა;
- გიდების პროფესიონალიზმი ან აგროტურიზმის შემთხვევაში მასპინძლის პროფესიონალიზმი, მისი განათლების დონე ქვეყნის, რეგიონის ეკოლოგიის, ენდემური ფლორისა და ფაუნის, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შესახებ;
- აქტიური დასვენების შესაძლებლობა.

ეკოტურისტი უპირატესობას ანიჭებს ერთ ტურში გაერთიანებულ აქტიური დასვენების რამდენიმე ტიპს (ლაშქრობა, ცხენით გადაადგილება, რაფტინგი, ალპინიზმი, კანიონინგი და სხვა). უნდა აღინიშნოს, რომ ეკოტურისტის ქცევისთვის დამახასიათებელია ახალი დანიშნულების ადგილების ძიება. იმისათვის, რომ მათ სტიმული ჰქონდეთ, ხელახლა ეწვიონ ეკოტურისტულ ადგილს, აუცილებელია პროდუქტის მრავალფეროვნებასა და მუდმივ განახლებაზე ზრუნვა.

აგროტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპები ასეთია:

- ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- აგროტურიზმში მონაწილეთა სოციოკულტურული იდენტურობის პატივისცემა, კულტურათაშორისი ტოლერანტობა;
- გრძელვადიანი, ეფექტიანი საქმიანობით სოციალურ-ეკონომიკური დოვლათის შექმნა, რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, სიღარიბის შემცირება სოფლად;
- აგროტურიზმის სამართლებრივი ბაზის შექმნა და ამოქმედება;
- აგროტურისტების ცნობიერების ამაღლება მდგრადი განვითარების, ეკოლოგიურად უსაფრთხო აგრო ტექნოლოგიების მიმართულებით;
- აგროტურიზმის ფარგლებში აგრარული მეურნეობების განვითარება, მათ ზრდასა და სრულყოფაზე ორიენტირებული ქმედებების მუდმივი კონტროლი, ანალიზი და შეფასება.

აგროტურიზმის ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება, მათი ზეგავლენის არეალისა და შედეგების ანალიზი. იმისათვის, რომ აგროტურისტული ობიექტები წარმატებით ფუნქციონირებდნენ გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ აუცილებლად უნდა შეისწავლონ და შეიმუშაონ საკუთარი მეურნეობის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიები. ნებისმიერ აგროტურისტულ ობიექტს უნდა ამოძრავებდეს მოტივაცია, რომ შეინარჩუნოს გარემო, ბუნებრივი რესურსები და ამავე დროს, სრულად დააკმაყოფილოს აგროტურისტის მოთხოვნები, მოახდინოს მათზე დადებითი შთაბეჭდილება, მიაღწიოს მათი მხრიდან დადებითი შეფასებების გავრცელებას ინტერნეტსივრცეში, რათა მეტი პოტენციური ეკო და აგროტურისტი მოიზიდოს მომავალში.

ტურიზმის მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს ტურისტებისა და ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული, ბუნების დამცველი ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების ჰარმონიზაციას. ამ კუთხით, ასევე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო მიმართულების პროგრამით გაჯერებული აგროტურისტული პროდუქტების დახვეწას, რომელთა განხორციელების უფლებას მოიპოვებს აგროტურისტული ცენტრი და გასცემს შესაბამისი სასერტიფიკატო კურსის გავლის დამადასტურებელ საერთაშორისო დონის დოკუმენტს.

მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციას შემუშავებული აქვს რეკომენდაციები და გამოყოფს რიგ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ტურიზმის მდგრადი განვითარების კონტროლი და მართვა. ეს მექანიზმებია:

- ტურისტული ადგილების გამტარუნარიანობის განსაზღვრა;

- ტურიზმის მდგრადი განვითარების მონიტორინგი;
- მარკეტინგი და დემარკეტინგი;
- ადგილობრივი მოსახლეობის და თვით ტურისტების სწავლება-ტრენინგები, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა;
- ეკოსერტიფიცირება და სხვა.

ტურიზმის მდგრადი განვითარების საქმეში დიდი როლი აქვს სახელმწიფოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტურისტული ადგილების სერტიფიცირება, ეკოლოგიური აუდიტის ჩატარება, რაც უზრუნველყოფს ენერგო და წყლის გონივრულ მოხმარებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირებას, ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლებას. შედეგად, ვითარდება ტურიზმი, მცირდება მიგრაციის მასშტაბები რეგიონებიდან, იზრდება ადგილობრივი, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის მოცულობა, მცირდება და ჩანაცვლდება იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა რეგიონებში. ადგილობრივი ხელისუფლება ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიან პრევენციას, იცავს ბუნებრივ რესურსებს გამოფიტვის, განადგურებისა თუ დაბინძურებისგან, რაც ხელს უწყობს ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებას.

მდგრადი ტურიზმის პრინციპების დანერგვა არ მოითხოვს მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების დაბანდებას, მათ შორის აგრარული ტურისტული ცენტრის ჩამოსაყალიბებლად, საჭიროა მხოლოდ სწორი ხედვა და შესაბამისი ცოდნა, გარემო პირობების, ტრადიციული გამოცდილების, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად გამართლებული ფაქტორების დაბალანსება და მათი გათვალისწინება.

სწორად წარმოჩენილი აგროტურისტული პოტენციალი ნიშნავს ვიზიტორების სიმრავლეს, ვიზიტის გახანგრძლივებას და ხელახლა სტუმრობას. ამისათვის აგროფერმერს უნდა შეეძლოს: საკუთარი ცენტრის კატეგორიზაცია; უცხო ენებზე ელემენტარული კომუნიკაცია; მონაცემთა ბაზის შედგენა და განახლება; მარკეტინგული არხების დამოუკიდებლად გამოყენება, როგორიცაა E-Mail მარკეტინგი, სოციალური ქსელები, ვებგვერდის მართვა, გრაფიკული დიზაინი, ეფექტიანი პრეზენტაცია, დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამის შედგენა და წარმართვა. აგროტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინება, მათთან კავშირების დამყარება, ქვეყნის ეკოლოგიური და აგრარული ტურისტული პოტენციალის ცნობადობის გაზრდა.

აგროტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონულ დაგეგმარებას, მემცენარეობაში დარაიონებას, მეცხოველეობაში ტრადიციულად და გარემო პირობების შესაბამისი მიმართულების შერჩევას.

საქართველო მდიდარია აგროტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი კლიმატური, ბალნეოლოგიური და სხვა ბუნებრივი რესურსებით, სპეციფიკური მახასიათებლებით, როგორიცაა: გასტრონომია, ტრადიციები, სანახაობრივი წეს-ჩვეულებები, ეთნოგრაფია, მითოლოგია, სხვადასხვა ტრადიციული ხელობა და ა.შ. აგროტურისტულმა ცენტრმა

საკუთარ კომპლექსში მაქსიმალურად უნდა ჩართოს და განავითაროს აღნიშნული შესაძლებლობები.

ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის, ბიოცენოზისა და ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია ნიადაგის დაცვა და ეფექტიანი გამოყენება, როგორც საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის, ასევე, კომერციული დანიშნულებით. ბიოტექნოლოგიების გამოყენებით, პერმაკულტურისა თუ ბიოდინამიური მეურნეობების არსებობის შემთხვევაში, აგროტურისტული ობიექტი განახორციელებს გარემოსდაცვით და ჯანდაცვით ღონისძიებებს. ყოველივე ეს თითოეული ადამიანის აზროვნებითა და ცნობიერებით, განათლებით, მაღალი თვითშეგნებითა და, ზრუნვით უნდა იყოს გამყარებული. ვინაიდან ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა, შენარჩუნება ერთდროულად წარმოადგენს როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების, ასევე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მყარ საფუძველს. ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთობა უამრავი სარგებლის საწყისი და საძირკველია. განსაკუთრებით დიდი ყურადღება სჭირდება ჩამდინარე წყლების დაბინძურებას, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს როგორც ბუნებაზე, ასევე ადამიანების ჯანმრთელობაზე, გარშემო ტერიტორიებზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხზე.

აგროტურიზმი, ისევე როგორც ტურიზმის ნებისმიერი მიმართულება, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების წყაროდ, როდესაც უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს ბუნებრივ ლანდშაფტზე, ეკოსისტემაზე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, არ აბინძურებს ნიადაგს, წყალსა და ჰაერს.

მდგრადი განვითარების აგროტურიზმის დადებითი მხარეების გამოსაყოფად, აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ აგროტურისტული ობიექტები თითქმის არ არის და არ უნდა იყოს რამდენიმესართულიანი შენობებით წარმოდგენილი, ანუ მთისა თუ ზღვის სანაპირო რეგიონებში არ არის სასურველი გარემოსთვის საფრთხისშემცველი მშენებლობების გამართვა, ბიომრავალფეროვნების ხელყოფა, ნიადაგების თუ ჰაერის, წყლის დაბინძურება და ა.შ., სწორედ ეს არის მდგრადი ეკო-აგრო-ტურიზმის მნიშვნელოვნად საკვანძო საკითხები.

დასკვნა

ტურიზმი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაორმაგდა, რამაც განაპირობა ტურიზმის მნიშვნელოვანი წვლილი თითოეული ქვეყნის ვაჭრობასა და ეკონომიკაში. გლობალურად, 10-დან 1 სამუშაო ადგილის შექმნით, ტურიზმი იძლევა შესაძლებლობას შეამციროს ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, შეინარჩუნოს ბუნებრივი და კულტურული რესურსები და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობების დაცვასა და სოციალურ ერთიანობას. UNWTO-ს ჩართულობით, 2017 წელს თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერით. 2018 წელს, UNWTO-სთან თანამშრომლობით, JICA-მ ჩაატარა კვლევა SDG-ების მიღწევა მდგრადი ტურიზმის განვითარების გზით: დონორების მიერ მხარდაჭერილი ტურისტული პროექტების გავლენა, რომელშიც გაანალიზებულია ტურისტული პროექტების წვლილი SDG-ების მიღწევაში. კვლევამ დაადასტურა ტურიზმის

აქტუალობა ყველა SDG-ში. მიუხედავად ამისა, მან ასევე გამოავლინა მნიშვნელოვანი აუცილებლობა შეიმუშაოს მეთოდი, რათა გაზომოს ტურისტული პროექტების გავლენა სისტემატურად და ობიექტურად. ეს ინსტრუმენტარიუმი წარმოადგენს ინდიკატორების ერთობლიობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტურისტულ პროექტებზე საერთაშორისო განვითარების გარემოში და ტურისტულ ბიზნესში, დანიშნულების მენეჯმენტში, საზოგადოებაში. განვითარება, აკადემიური კვლევები, საჯარო ადმინისტრირება და ა.შ. Covid-19-ის პანდემიამ ხაზი გაუსვა მდგრადი ტურიზმის მნიშვნელობას; და მისი რელევანტურობა ვიზიტორების, ტურისტული ინდუსტრიის, გარემოს და მასპინძელი თემების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე. SDGs-ის ბევრი მიზნები მიიღწევა 2030 წლისთვის, მაგრამ მდგრადი ტურიზმის მნიშვნელობა და პასუხისმგებელი ქმედებები ტურიზმის ყველა დაინტერესებული მხარე მნიშვნელოვანი რჩება 2030 წლის შემდეგაც. ამ ინსტრუმენტთა ნაკრებში წარმოდგენილი ინდიკატორები გაავრცელებენ ტურიზმის ღირებულებას ხალხის საცხოვრებლად და მოსანახულებლად უკეთესი ადგილების შესაქმნელად. ეს ხელსაწყოები დაგეხმარებათ განახორციელოთ ტრანსფორმაციული და კოლექტიური ქმედებები ქვეყნებში მდგრადი განვითარების დასაჩქარებლად.

ამრიგად, მდგრადი ტურიზმი მართავს ყველა შესაძლო ტურისტულ რესურსს, ტურისტის ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იმისათვის, რომ ქვეყანაში მდგრადი აგროტურიზმი სათანადოდ განვითარდეს, საჭიროა რამდენიმე სოციალურ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ხასიათის პრობლემების მოგვარება:

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მდგრადი აგროტურიზმის პოზიტიური ფაქტორების მიმართულებით;
- შემომავალი ტურიზმის სტიმულირება;
- აგროტურისტული განთავსების ობიექტების სტანდარტიზაცია;
- აგროტურისტული რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- აგროტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სწორად გადანაწილება ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკოლოგიური ბალანსის აღდგენაზე;
- ტურისტული ნაკადების მოცულობის განსაზღვრა დაცულ ტერიტორიებზე;
- ტურების განხორციელება ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება-კონტროლის გათვალისწინებით;
- ელექტრონული აგროტურისტული მონაცემთა ბაზისა და სპეციალური რუკის შედგენა;
- ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული უფლებების, ტრადიციების მაქსიმალური დაცვა;
- მდგრადი აგროტურისტული ღონისძიებების დაგეგმვა დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, სოფლის ტერიტორიაზე;
- კონკრეტული ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურების შენარჩუნება, დაცვა და ამავე დროს არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება.

ამავე დროს, ისევე, როგორც ამას ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მე-17 მიზანი, მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გაუმჯობესებული მმართველობის პირობებში. ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში, დაინტერესებულ პირთა ნებაყოფლობითი პლატფორმა, განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად, ქვეყნებს შორის შეთანხმებული ქმედებები, ურთიერთთანამშრომლობა, გამჭვირვალობა და ღიაობა ხელს უწყობს თითოეული ქვეყნის ტურისტული, მათ შორის აგროტურისტული პოტენციალის ამოქმედებას, გაუმჯობესებას, ცნობადობას, რაც საბოლოო ჯამში, რეგიონებისა და სახელმწიფოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვარაცხელია რ., სამხარაძე ნ,. „აგროტურიზმი“, თბილისი, 2022.
2. Tourism in the 2030 Agenda https://www.unwto.org/tourism-in-2030-agenda
3. Roadmap for Sustainable Tourism Development With Indigenous Communities A Triple Bottom Line by Design + Culture Approach. Copyright by Vania Arevalo Garnica, Maria Fernanda Álvarez León, Maria Camila Pava, Yu Chiu, Apinya Rattananubal, 2017. Pratt Institute, New York
4. Achieving the Sustainable Development Goals through Tourism – Toolkit of Indicators for Projects (TIPs). Published: July 2023 Pages: 296 eISBN: 978-92-844-2434-4 | ISBN: 978-92-844-2433-7